

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, ტესტის III ნაწილში მოცემულია ორი დავალება. უნდა აირჩიოთ და შეასრულოთ ერთ-ერთი მათგანი (დავალება N1 ან დავალება N2).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ნინო ყიფიანი

ნინო ყიფიანი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი. ოჯახში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ იგი თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს სადაც მისი სწავლის დაფინანსებას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი ახდენდა. ნინო ყიფიანი იყო რუსეთის იმპერიიდან პირველი იურისტი ქალი ვინც ბრიუსელში მიიღო იურიდიული განათლება. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა იტალიისა და ბელგიის საელჩოების წარმომადგენლობებში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა ნინო ყიფიანის მსოფლმხედველობის ამოსავალი პრინციპი იყო. მან ამ თემას არაერთი საგანგებო პუბლიკაციები მიუძღვნა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ საკითხს, როგორც ქალთა განათლებაა. 1896 წელს ნინომ დაბეჭდა ვრცელი წერილი „ქართველი ქალების მოღვაწეობის მიმოხილვა“. მისი ინიციატივით შეიქმნა სპეციალური ფონდი რომლის დანიშნულება იყო ნიჭიერ ახალგაზრდების ხელშეწყობა რათა მათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ქონოდათ.

1907 წელს მეფის მთავრობამ მას რუსეთის იმპერიაში ყოფნა აუკრძალა რის გამოც ის საცხოვრებლათ ჯერ ბრიუსელში გადავიდა შემდეგ – იტალიაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნინო ყიფიანი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისში დასახლდა. მოგვიანებით მან ქვიშხეთში პაპისეულ სახლკარს მიაშურა და იქვე გარდაიცვალა.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ჩვენი ეროვნული თუ პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ლიტერატურას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება N 1

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ბახტრიონი“:

ნაქერალაში დამდგარან
თუმები თექიანები,
გულშაუდრეკნი ომშია,
ლაშქრობას ბედიანები,
გარს სანგლად შემოუვლიათ
ხევები ბექიანები.
ელიან ფშაველ-ხევსურთა,
თვალი იმათკე სჭერიათ,
წინ მიეგებენ ლხენითა,
დროშები დაუჭერიათ.

ლუხუმმა ცხენი გაქუსლა,
წავიდა თამაშობითა,
შამაუძახა თუშებსა
შუბლშეკვრით, კამათობითა.

ლუხუმი

– სადა გყავთ, თუშნო, ზეზვაი,
რად არ მაჩვენებთ თვალითა?
მე-დ იმან უნდა ვიომოთ,
ნაქებ რო არი მკლავითა. –
აღარა ხუმრობს ლუხუმი
მკერდშეღობილი ფარითა. –
მე ჯერ თათრებთან რა მიხდა,
მაგისი სისხლი მწყურია,
დულს და გადმოდულს გულიდამ
მაგის მტრობა და შურია.

შეჩერდა თუშის ლაშქარი,
გულზე წაესო მურია.
ფიქრობენ: „რამ გააგიჟა,
ლეკიაა თუ ურია?
შველის მაგივრად თავხედსა
ჩვენზე სისხლი სწყურია?!“

ზეზვამ მყის იცნო ძმობილი,
ვეფხვი ხმალდახმალ წავიდა,
გაეკინკლავნენ ერთმანეთს
ხმალ-შუბებით და ფარითა.
მემრე აკოცეს მხურვალედ,
ამბავსა ჰკითხვენ ძმურადა,
ერთმანეთისა სურვილი
ორსვე ჰქონიყო წყლულადა.

ლუბუმი

– გენაცვლე, ძმაო ზეზვაო,
რო თვალით გნახე კიდევა,
მიყვარს, ძმობამა, ხმალდახმალ
შენი მტრისაკე მიწევა.
კაცო, შენც დაბერებულხარ,
გაგხშირებია ჭალარი...
ცხენი სადა გყავ, მიტირე,
ი შენი ცხენი – სალარი?!

ზეზვა

– ლაშქრობამ ჩამამაბერა,

ძალუმადურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ძუძუს მამსხლიტა დედამა.
ჯერ შენთან, ძმაო ლუხუმო,
რამდენჯერ ვიყავ ომშია?!
წელში ორჯერ თუ დაეხმის
ჩემი საფერხე გომშია.
სალარი მაგათ მამიკლეს,
ვისაც დღეს უნდა უტიოთ,
მაგ ძალთი ერთი ცოცხალიც
გარეთ არ გამოუტიოთ.

ლუხუმი

– სრულ მაგონდება, ძმობამა,
საცა რა გადაგვხედია;
უნდა გადაგვხედეს კიდევაც,
ეს არის ჩვენი ბედია.

ზეზვა

– მეც მაგონდება ბევრი რამ,
ერთი კი უფრო ცხადადა:
ერთხელის საბუის ბოლოს

ლევებ რო ვაცხვეთ ქადადა,
თუ გახსონს, ერთს ლევს ხმლითა ვეც,
ჭიმად მოვსწყვიტე თავია...

ლუხუმი

– შენის ფრანგულის ნაჭრევი
ისევ ისეთი მწვაავია?

ზეზვა

– თავი გაგორდა მიწაზე,
ტუჩებმ დაუწყო კაპუნი,
იტყოდი, სარეკელასა
წისქვილზე გააქვ რაკუნი.
შენ შაგებრალა ურჯულო,
მოგიწყლიანდა თვალები,
უთუოდ, საით ენახვე,
მოგაფურთხებდენ ქალები.
მე არ მებრალვის, ლუხუმო,
მოუნათლავი აროდის,
მაგათ სიწუნტის ნალველი
ყელში დუდილით ამოდის.
ვისაც ჩვენ არ ვებრალეებით,

ჩვენ შავიბრალოთ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!

ერთურთს სალამი მიართვეს,
ფიცით შაიკრა ჯარია,
მაღლიდამ მაკურთხებელი
თავზე დაადგა ჯვარია.
შაიღებება სისხლითა
ქართველთა მთა და ბარია.
დილის მზის სხივით იპოხენ
ქედებს კახეთის მთანია.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ზეზვას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება N2

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები გურამ გეგეშიძის მოთხრობიდან „შურისძიება“ :

ყველას, ვინც ხედავდა იმ ბიჭებს ბაზარში ერთად მიმავალთ, ერთს წინ, უფრო მაღალს, ხმელ-ხმელს, შუბლზე ჩამოყრილ მუქ წაბლისფერთმიანს და მეორეს უკან, უფრო მსუქანს, ფუნჩულას, რომელსაც თეთრი, ოდნავ ჭორფლიანი სახე და წითელი თმა ჰქონდა, ხვდებოდა, რომ ესენი ძმები იყვნენ. ეს ბიჭები არ ჰგავდნენ ერთმანეთს არც სიარულით, უფროსი წელში გამართული, მსუბუქად დააბიჯებდა, პატარა კი დათვის ბელივით მიბაჯბაჯებდა; არც კანის ფერით, უფროსი შავი იყო, მაგრამ ისინი მაინც ჰგავდნენ ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც ყოველთვის ჰგვანან ხოლმე ერთმანეთს ძმები და ყველა, ვინც ხედავდა იმ დღეს მათ ბაზარში, ხვდებოდა, რომ ის ბავშვები ძმები უნდა ყოფილიყვნენ. ზოგიერთებმა იცოდნენ კიდევ, ვინც იყვნენ ეს ბავშვები. მათ იცოდნენ, რომ ამ ბავშვებს მშობლები არ ჰყავდათ და მოხუცი ბებია ზრდიდა. ბებია ძალზე მოხუცი იყო, ძალზე მოტეხილი თავისი დარდით და ბავშვები ხშირად, თითქმის მთელ დღეს უსაქმოდ დაწანწალებდნენ ქუჩებში. სასადილოს წინ ცარიელ ყუთზე მჯდარმა გამხდარმა კაცმა, რომელიც გამვლელ-გამომვლელს ათვალთვლებდა, იმ წამსვე იცნო უფროსი ბიჭი. ის იცნობდა ამ ბიჭის მამას და ერთხელ, დიდი ხნის წინათ, სანამ მამა მოუკვდებოდათ, ამ კაცმა ნაყინი უყიდა უფროს ბიჭს, რომელიც მაშინ ძალიან პატარა იყო და მამას ქუჩაში სასეირნოდ გამოეყვანა. ეს იყო და ეს.

სასადილოს წინ მშიერი ძაღლები დაწანწალებდნენ საჭმლის საძებნელად. ძაღლები დაძრწოდნენ ცარიელ კასრებსა და ყუთებს შორის და მიწას სუნავდნენ. ბიჭები იდგნენ ცოტა მოშორებით, ჭრელ-ჭრელი საზამთროებით დატვირთულ ორთვალასთან... იდგნენ და ინტერესით უყურებდნენ მწვანე წინსაფრიან ცალხელა გამყიდველს, რომელსაც მარცხენა ხელი იდაყვსქვემოთ წაჭრილი ჰქონდა და მარჯვენა ხელში გრძელი, პრიალა დანა ეჭირა. იგი ოსტატურად ხმარობდა დანას. იღებდა საზამთროს, მარცხენა, წაჭრილი ხელით ილლიის ქვეშ ამოიდებდა და გრძელი, პრიალა დანით ლამაზად სერავდა ქერქს. ბიჭები ინტერესით უყურებდნენ გამყიდველს. სასადილოს წინ მჯდარი კაცი უყურებდა ბავშვებს და ფიქრობდა, ეყიდა მათთვის საზამთრო თუ არა, რადგან საზამთრო ახალი შემოსული იყო და ჯერ კიდევ საკმაოდ ძვირი ღირდა. შემდეგ უფროსმა ბიჭმა შემთხვევით მოიხედა და დაინახა სასადილოს წინ მჯდარი კაცი. ბიჭი დააკვირდა კაცს და ამ დროს კაცი წამოდგა ყუთიდან

მტკიცე გადაწყვეტილებით, მისულიყო ბავშვებთან და ეყიდა საზამთრო, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გადაიფიქრა. მან გაიფიქრა – „ეჰ, ეს ბავშვები, სულ ერთია, არ მიცნობენ, რას მიხვდებიან, რომ მაგათი მამის ამხანაგი ვარ“, – ამ ფიქრით მობრუნდა იგი და სასადილოში შევიდა, სადაც დაასხმევინა დახლიდარს ერთი ჭიქა არაყი და საკუთარ თავზე გულგატეხილმა დალია. მან დადგა ჭიქა და ამოიოხრა: – „ეჰ!..“

ეს იყო და ეს.

ბიჭები გამოვიდნენ ბაზრიდან და მექუდის ფარდულთან შეჩერდნენ. მექუდის ფარდული ბაზრის შესასვლელთან იდგა. დახლზე იდო მრგვალი სარკე, რომელშიც ქუდის მყიდველს შეეძლო დაენახა თავისი თავი... უფროსი ბიჭი მივიდა მექუდის დახლთან და სარკეში ჩაიხედა. უმცროსი სარკეს ვერ სწვდებოდა, ამიტომ დახლს მოეჭიდა, ძლივძლივობით აძვრა სარკესთან, ჩაიხედა შიგ და ჩამოხტა ძირს. ამის შემდეგ უფროსმა ბიჭმა პაპიროსი იყიდა მეპაპიროსესთან და მერე ორივენი წამოვიდნენ ბაზრიდან გრძელი, მოასფალტებული ქუჩით. აქა-იქ ქუჩაში გუბურები იდგა, რადგან წინა დღით წვიმდა. წყალი უკვე შრებოდა. ახლა მოღრუბლული დღე იყო, მაგრამ ხანდახან, როცა მზე გამოანათებდა, მწარედ ცხელოდა. ქუჩის ორივე მხარეს თხრილები იყო, თხრილების იქით ტრიფოლიატის ღობეები, ღობეების იქით, ეზოების სიღრმეში, სახლები იდგა, წინ კი თავწახრილი ღორები მიდიოდნენ ღრუტუნით. ქუჩის ბოლოს თეთრად შეღებილი ქვის სახლი მოჩანდა. ბიჭები თეთრ სახლამდე აღარ მისულან, მარჯვნივ შეუხვიეს და ჩუმად განაგრძეს გზა. ისინი არც ერთხელ არ დალაპარაკებინან ერთმანეთს, რადგან ერთმანეთთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. მიდიოდნენ ერთად, თითქოს რაღაც უხილავი ძაფით გადაბმულები; უფროსი წინ, მას მოკლე ტრუსი და გახუნებული მაისური ეცვა, უმცროსი უკან, შედარებით განიერი ტრუსი ეცვა, რომელიც შეიძლება არც იყო მისი; მიდიოდნენ ერთად, მაგრამ ისე, თითქოს ვერც ამჩნევდნენ ერთმანეთს, თითოეული თავისთვის, თავის ფიქრებში წასული. ასე ხშირად დადიან ძმები, განსაკუთრებით მაშინ, როცა პატარები არიან.

და აი, ისინი მიდიოდნენ, მიდიოდნენ და უცებ ქუჩის პირას მდგარი ორსართულიანი აგურის სახლის აივნის ბავშვების ჟრიამული გაიგონეს. მერე აივანზე დაინახეს უფროსი ძმის ტოლი ბიჭები. ის ბიჭები წუწავდნენ ერთმანეთს წყლით და მათთან ერთად იყო სულ ცოტათი უფრო დიდი გოგო, ლამაზი გოგო, რომელიც ეხვეწებოდა ბიჭებს, არ შემასხათ წყალიო, მაგრამ ბიჭები გოგოსაც წუწავდნენ, არ ინდობდნენ და გოგო კიოდა. უფროს ძმას რატომღაც აღიზიანებდა იმ გოგოს კვილი. ამავე

ეზოს რკინის ჭიშკართან გრძელხალათიანი სქელი ქალი იდგა, ხელში ცარიელი ვედრო ეჭირა და როცა ძმები ხალათიან სქელ ქალს გაუსწორდნენ, ქალმა დედობრივი, ტკბილი ხმით სთხოვა უფროსს:

– ბიჭიკო, თუ ღმერთი გწამს, წყალი მომიტანე!

მაგრამ ბიჭი არ გაჩერდა და თავაზიანად უპასუხა:

– არ მწამს, დეიდა, ღმერთი...

და შემდეგ გაიგონა ზურგს უკან ქალის წყევლა:

– დასწყევლოს ღმერთმა შენი თავი, რა უზრდელი ხარ, ვისიცა ხარ... – და შემდეგ ფლოსტების ფლატუნი, როცა ქალი გადადიოდა ქუჩის მეორე მხარეს, ონკანისაკენ და შემდეგ ისევ ტკბილი, დედობრივი ხმა: – შენ მომიტანე, დედიკო, წყალი, შენი ჭირიმე...

უფროსი ბიჭი მობრუნდა. მან დაინახა, როგორ შეაჩეჩა სქელმა ქალმა ცარიელი ვედრო უმცროს ძმას და იმანაც მორჩილად გამოართვა, უსიტყვოდ, თვითონ კი ვედროზე თითქმის უფრო პატარა, ონკანისაკენ წაჩანჩალდა. უფროსი ბიჭი უცბად აენტო, მიიღბინა თავის ძმასთან, გამოსტაცა ვედრო და თხრილში გადაისროლა, შემდეგ წამოართყა თავში და წინ გაიგდო.

– წამოეთრე აქეთ, – დაიღრიალა მან.

– აა, შე ჯიბგრო, ჯიბგრო! – აყვირდა სქელი ქალი, – უყურეთ ამ ჯიბგირს, რას ბედავს, ჯიბგირი!..

– წადი, შენ შვილებს მოატანინე წყალი, – მიაძახა ბიჭმა ქალს, – პატარა ბავშვს უნდა წელი მოსწყვიტოს.

მერე ის მიდიოდა, უკან არ იხედებოდა და თანდათან უფრო შორიდან ესმოდა სქელი ქალის ყვირილი და კმაყოფილი იყო თავისი საქციელით. ის მისჩერებოდა თავისი პატარა ძმის ჭუჭყიან ქუსლებს და სადღაც გულის სიღრმეში ბუნდოვნად გრძნობდა, რომ თავიდანვე გამოიცნო ამ ქალის ხასიათი. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ამით იყო ასე კმაყოფილი. „ეს ქალი ზედმეტი ჭამისაგანაა გასუქებული და არა ავადმყოფობისაგან“, – ფიქრობდა ის.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ უფროსი ძმის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!